



# დაბერება საქართველოში

მურმანი ხაჭაპურიძე, 73 წლის, ქ. თბილისი

## შესავალი

საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მტკიცებელი პროცესი, მთელი თავისი სოციალური და ეკონომიკური დანაკარგებით, ყველაზე მეტად ქვეყნის დედაქალაქში აირეკლა. ეს ბუნებრივია, თბილისი ის მთავარი ღერძია, სადაც ქვეყნის ინტერესები იკვეთება. ამდენად, დედაქალაქის წინაშე მდგარი პრობლემები ესოდენ ორგანულად გადაჯაჭვულია მთელი საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებთან.

ქვეყნის ეს პრობლემები დაკავშირებულია განსაკუთრებით მოხუცთა ყოველდღიურ ცხოვრებასთან, სიავ-სიკეთესთან, მათ მთავარ საფიქრალ-საზრუნავთან. ამიტომ საჭიროა მოხუცები მომავალმა თაობამ არ დაივიწყონ, სიყვარულით უნდა შეიკრას და შედუღებდეს – მოხუცი, ოჯახი და საზოგადოება. სულმნათი ილია ჭავჭავაძის სიტყვები გავიხსენოთ: „დაცემა იწყება იქიდან, სადაც თავდება წარსულის ხსოვნა.“

## I. რას ნიშნავს დაბერება საქართველოში

უპირველესად, საყურადღებოა ის დიდმნიშვნელოვანი ფაქტი, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1999–2000 წელი გამოცხადდა „ხანდაზმულთა საერთაშორისო წლად“ და მას შემდეგ ყოველი წლის 1 ოქტომბერი მთელი მსოფლიოს მასშტაბით აღინიშნება, როგორც „ხანდაზმულთა საერთაშორისო დღე.“

ეს გარემოება განაპირობა იმან, რომ დედამიწის მოსახლეობის დაბერება გლობალურ მოვლენად იქცა და ბუნებრივია, იგი გარკვეულწილად საქართველოსაც შეეხო, ანუ, განსაკუთრებით მოიმატა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებელმა. დაბერების პროცესი საქართველოში განპირობებულია შობადობის კლებითა და უფროსი ასაკობრივი ჯგუფების რაოდენობის პროგრესირებადი ზრდით. ამ პროცესს თან ახლავს რიგი სოციალური და ბიოლოგიური მიზეზები და უშუალოდ უკავშირდება ქვეყანაში სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს.

თუნდაც ის ფაქტი, რომ დღეს საქართველოში 700 ათასამდე საპენსიო ასაკისაა და მიეკუთვნება „ასაკით პენსიონერს“, მას დავუმატოთ ძალოვან სტრუქტურებში ნამუშევარ პენსიონერთა ათასობით ადამიანი, თვალნათლივ დავინახავთ იმ სურათს, რაც ესოდენ დამახასიათებელია ისეთი მცირერიცხოვანი ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა.

ამდენად, საქართველოში იკვეთება ორი ერთმანეთთან დაკავშირებული მხარე. ერთი: რაც უფრო დიდხანს ცხოვრობს ადამიანი, იგი უფრო მეტად პროდუქტიული და დოვლათის შემქმნელია და მეორე: მოხუცებულობის ასაკში იგი ქვეყნისთვის განსაკუთრებით მეტად საზრუნავია. ქვეყნის აღმასრულებელ ხელისუფლებას მოხუცებულთათვის ზრუნვის

გამოხატვა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის გადამჭრელ ღონისძიებებთან ერთად შესაძლებლობის ფარგლებში, მისი შრომის უნარის მიხედვით დასაქმებით უნდა მოხდეს. სწორედ, ცხოვრების მოთხოვნებმა განაპირობა 1998 წელს სამი დიდი უწყების ერთ სამინისტროდ – შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდ გაერთიანება. ასე რომ ადამიანის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის უფლებები პირდაპირ დაკავშირებულია შრომის უფლებასთან.

სამწუხაროდ, დღეს ხშირად ვაწყდებით ისეთ ფაქტს, რომ მოხუცის „შენახვა“ გაჭირდა. მართლაც, მოხუცი თაობისადმი ასეთი მიდგომა – „შენახვა“ – ნებისმიერი საზოგადოებრივი ფორმაციის პირობებში ეკონომიურად აქტიური მოსახლეობის ხარჯზე ხდებოდა, მაგრამ საზოგადოებრივ ურთიერთობაში „მოხუცებულთა მასა“ არავითარი გაგებით არ არის საზოგადოების სარჩენი. მოხუცთათვის პენსიის გაცემა საზოგადოების მხრივ ქველმოქმედება, მოწყალეობა კი არ არის, არამედ იმ შრომის ანაზღაურება, რომელიც მან ცხოვრების მანძილზე გასწია.

შეუფერებელია და სინამდვილეს არ ასახავს ტერმინები: „მოხუცებულობის პენსია“, „მოხუცებულობით პენსიონერი“. სასურველია ვიხმაროთ ტერმინები: „შრომითი პენსია“ ან „ასაკისა და შრომის პენსია“, ვინაიდან ჯანმრთელობის საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციით მოხუცებულობის ასაკი იწყება 75 წლიდან (60 – 74 წ. ხანში შესულთა ასაკია, 75–89 წ. მოხუცებულთა ასაკი, 90 და მეტი – დღეგრძელთა ასაკი ), ხოლო შრომის სტაჟისა და ასაკის მქონე პენსიონერი ანუ შრომის პენსიის მქონე პირი უნდა განვასხვავოთ მხოლოდ ასაკით პენსიონერისგან ( პროფესორი ს. დალაქიშვილი).

როდესაც საქართველოში დაბერების პრობლემას ვეხებით, ბუნებრივია იგი უკავშირდება ქართველი ერისთვის ძალზედ მტკივნეულ პრობლემას – შობადობას. ამ პრობლემის ეტაპობრივად, თანდათანობით მოგვარება ხელისუფლების, კერძო სექტორის, შესაბამისი უწყებების, არასამთავრობო ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან მოითხოვს მატერიალური და მორალური უზრუნველყოფის, საბინაო – საყოფაცხოვრებო, დასაქმების საქმეში რეფორმების კომპლექსურად გადაწყვეტას.

ცნობილია, რომ საქართველო დემოგრაფიული მონაცემებით ყველაზე უპერსპექტივო ქვეყნების სიაშია. საქართველოდან გასული მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ქვეყნის „ოქროს ფონდია“, როგორც ასაკობრივი ისე ინტელექტუალური თვალსაზრისით. გასული საუკუნის 90 – იანი წლების მოსახლეობის ეკონომიკური დაუცველობის პირობებში უფროსი ასაკობრივი თაობა აღმოჩნდა საზოგადოების ყველაზე მეტად დაზარალებული ფენა, რომლის 71%-ის ფინანსური შემოსავლების დონე თითქმის 10–ჯერ ნაკლები იყო, ვიდრე ქვეყანაში დადგენილი სასიცოცხლო მინიმუმი. ამასთან ერთად, ასეთ გაუსაძლის პირობებში მოხდა ქალთა და მამაკაცთა საპენსიო ასაკის გაზრდა, შესაბამისად – 60 და 65 წლის ასაკამდე. ისიც საგულისხმოა, რომ ადრე არსებული უმუშევრის სტატუსის მქონე მოქალაქეს საპენსიო ასაკამდე 2 წლით ადრე ( ე.ი. ქალებს – 53 წლის, მამაკაცებს – 58 წლის ასაკში ) ენიშნებოდა

პენსია, რაც შემდგომში გაუქმდა და უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა განსაკუთრებით ხანდაზმულობის ასაკში მყოფი ინტელექტუალური პროფესიის მქონე ადამიანები.

ხანდაზმული მოსახლეობა საზოგადოების მხრიდან საქართველოში ოდითგანვე განსაკუთრებული პატივისცემით გამოირჩეოდა. მათი მოვლა უწმინდეს ზნეობრივ მოვალეობად იყო მიჩნეული. უფროსი თაობის უპირატესობა მკვეთრად გამოხატული „გიორგი ბრწყინვალეს სამართალში,“ ბაგრატ კურაპალატისა და ვახტანგ VI-ის კანონებში.

დღეს, ამ მხრივ ჩვენს თანაცხოვრებაში რიგი გადაუჭრელი პრობლემებია, რომელიც უკავშირდება მოხუცებულთა ფიზიკურ, სულიერ, ეკონომიკურ, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პრობლემებს, მათ თანაცხოვრებას ოჯახის წევრებთან. აღნიშნულის გათვალისწინებით შევისწავლეთ ჩვენს პანსიონატში მცხოვრებ მოხუცებულთა წარსული, პირადი და ოჯახური მდგომარეობა, პროფესიული საქმიანობა, რის საფუძველზეც მოვამზადეთ მათი ბიოგრაფიული პორტრეტები და ნარკვევები. ამჟამად, თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატში ( უფროსი დარეჯან თომაძე) მცხოვრებ 91 ბენეფიციარს შორის 48 ქალბატონია. ბენეფიციართა უმრავლესობა სოფლად დაბადებული და გაზრდილია. 91 ბენეფიციარს შორის 56 ბენეფიციარი 80 წლისა და მეტისაა. 2 ბენეფიციარი, პროფესიით ექიმი, დღეგრძელობის პერიოდის მქონე 95 წლის ქალბატონები არიან. 90 წლის და მეტი ასაკის 9 ბენეფიციარს შორის 5 ქალბატონია. პირადი საყოფაცხოვრებო – საბინაო მდგომარეობის გამო სხვებთან ერთად ამჟამად თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატში ცხოვრობენ განათლების, მეცნიერების, კულტურის, ჯანდაცვის ღვაწლმოსილი წარმომადგენლებიც. ბენეფიციართა შორის 3 – მეცნიერებათა კანდიდატია, 5 – ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი, 2 – საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, 5 – სახალხო განათლების წარჩინებული, 2 – ჯანდაცვის წარჩინებული, 1 – საქართველოს დამსახურებული ინჟინერი და საპატიო რკინიგზელი, 1 – საქართველოს დამსახურებული არტისტი, 3 – „შრომითი დიდების,“ „შრომის წითელი დროშის“ და „შრომითი მამაცობისთვის“ ორდენების კავალერი. ბენეფიციართა 65% უმაღლესი განათლებითაა.

## II. ცხოვრებისგან მიღებული გაკვეთილები და რჩევები ახალ თაობას

ახალგაზრდობაში აქტიურ ჟურნალისტიკაში, ხოლო შემდეგ 80–იან და 90–იან წლებში მოსახლეობის დასაქმებისა და სოციალური დაცვის სფეროში საქმიანობამ ასობით ადამიანს შემახვედრა, რომლებმაც საკუთარ თავზე იწვნიეს სამუშაოს დაკარგვა და უკიდურესი ეკონომიკური სიდუხჭირე. შევხვედრივარ მეცნიერების, მწერლობის, კულტურის ღვაწლმოსილ ადამიანებს, რომლებთანაც ურთიერთობამ უდიდესი როლი შეასრულეს ჩემს პიროვნულ და პროფესიულ ჩამოყალიბებაში.

- აქედან გამომდინარე გვინდა ახალ თაობას ვურჩიოთ დაიცვან ეროვნული ტრადიციები ხანდაზმულთა თაობის მიმართებაში;

- დაიცვან თაობათა შორის ურთიერთკავშირის პრინციპები, თაობათა სოლიდარობა საზოგადოებაში;
- მეტი ყურადღება დაუთმონ განათლებას, ცოდნის დაუფლებას, პროფესიონალიზმს და შრომისადმი პასუხისმგებლობით დამოკიდებულებას;
- აარიდონ თავი უცხოეთში თვითნებურ ემიგრაციას, რომლებიც ხშირ შემთხვევაში უმძიმესი შედეგებით მთავრდება( საცხოვრებელი ბინის დაკარგვა, ტრეფიკინგი, სამართლებრივი დაუცველობა და ა. შ.)
- მეტი ყურადღება დაუთმონ ოჯახის კულტს. შექმნან ოჯახები, რომელიც დაფუძნებული იქნება სიყვარულის, პატივისცემის, შეხედულებების, ხასიათის, მიზნების თანხვედრაზე, წინაპართა პატივისცემასა და შვილების ჰარმონიულად აღზრდის ტრადიციებზე.
- საფუძვლიანად გაეცნონ მშობლიური ერის ისტორიას, მწერლობის, კულტურის, ხელოვნებისა და ფოლკლორის ნიმუშებს. პატივი სცენ სხვა ერების კულტურასა და ტრადიციებს.
- დაიცვან მშობლიური ენის სიწმინდე და ეროვნული ღირსება, რათა ის პიროვნულ ჩამოყალიბებასთან ერთად მიზანმიმართული იყოს სამშობლოს საკეთილდღეოდ.

### **III. წინადადებები საქართველოში დაბერებასთან დაკავშირებული პოლიტიკის საკითხისათვის.**

- სოციალური განვითარების ეროვნული სტრატეგიული პოლიტიკის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნას გერონტოლოგიისა და გერიატრიის პრობლემური საბჭოს რეკომენდაციები;
- ხანში შესული პიროვნების კეთილდღეობა განისაზღვროს არამარტო სამედიცინო, სოციალური და ეკონომიკური უზრუნველყოფით, არამედ მორალურ–ფსიქოლოგიური ასპექტებითაც;
- პენსია ინიშნებოდეს მხოლოდ სამუშაო სტაჟის მიხედვით;
- ქვეყნის სოციალურ–ეკონომიკური განვითარების პოლიტიკა დაეფუძნოს არსებულ ინტელექტუალურ კაპიტალს, ტექნიკურ პროგრესს, ბუნებრივ რესურსებს, მის გეოპოლიტიკურ მდგომარეობას და ერის ისტორიული განვითარების ტრადიციებს;
- შესაბამის სამუშაო ადგილებზე გამოყენებულ იქნეს შრომისუნარიანი უფროსი ასაკის მქონე პროფესიონალი სპეციალისტები;
- პენსიით უზრუნველყოფილ იქნეს 50 წლის ასაკს მიღწეული მრავალშვილიანი (3–4 და მეტი) დედა–დიასახლისები;
- სოციალური პრობლემების კვლევას მიეცეს მუდმივმოქმედი სისტემური ხასიათი;
- საპენსიო ანაზღაურება გაუტოლდეს არსებულ საარსებო მინიმუმს;



- სოციალური დაზღვევის სისტემის განვითარება წარიმართოს ორი მიმართულებით: ერთი – სახელმწიფო, სოლიდარობის პრინციპის ამოქმედებით, მეორე – კერძო, დაგროვებული ფონდების სისტემით;
- დღევანდელ საპენსიო ტარიფის პირობებში მომუშავე პენსიონერებს შეუნარჩუნდეთ პენსია;

დასკვნა: თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების პარალელურად გასათვალისწინებელია გაეროს მიმართვაში ნათქვამი : „სახელმწიფოს აღმასრულებელმა ხელისუფლებამ, თავიანთი ეროვნული ინტერესების შესაბამისად ისეთი პოლიტიკა უნდა განახორციელონ, რომ პიროვნება სიბერეში იყოს სოციალურად დაცული და ეკონომიკურად უზრუნველყოფილი.“

ქართველი კაცი ოდითგანვე ბრძენი მეურნე, ფიზიკურად და მორალურად ძლიერი და გაუტეხელი იყო, რასაც ადასტურებს ქართული ხალხური პოეზიის ეს სტრიქონებიც:

„დავბერდი, მშვილდი დავაგდე  
 ისარი კილო – წითელი,  
 სირცხვილს უფრთხილდი ვაჟაო,  
 არ მოგიხაროს კისერი!“

**დიახ! სახელმწიფოში ღირსება დაცულ ადამიანს სიბერეც ღირსეული უნდა ქონდეს!**

The painful transition period to a market economy in Georgia, with all its associated social and economic difficulties, has mostly affected the capital city. This is natural as Tbilisi is where the country's interests are most clearly seen. Thus, problems faced by Tbilisi are organically linked to vital interests of the whole of Georgia.

These problems are related to the everyday lives of old people, their thoughts and care, pleasure and kindness. That's why it is necessary for the younger generation not to forget old people; love should unite an old person, family and society. Remember the great Ilya Chavchavadze's words (a famous Georgian poet and writer): 'Decline begins where the past is forgotten.'

### **I. What Does It Mean to Get Old in Georgia?**

In the first place, we should remember that the UN General Assembly decided to observe 1999-2000 as the International Year of Older Persons and since then the 1<sup>st</sup> of October is annually observed as the International Day of Older Persons throughout the world.

This followed from the fact that ageing of the earth's population has become a global problem and it is logical that Georgia is also affected by this. Average life expectancy has increased. An increase in the number of old people in Georgia has followed on from a reduction in the birth rate and the progressive increase of older age groups. A number of social and biological reasons are associated with this process and directly related to medical and technical progress in the country.

The fact that there are about 700,000 persons of a pensionable age in Georgia and thousands of pensioners who used to work in security, defence and law enforcement agencies clearly shows a picture that is typical for a small country like Georgia.

Thus, there are currently two interrelated situations in Georgia: firstly, the longer a person lives, the more productive the person is and the more goods a person can create; secondly, the state should take more care of older people. The government's care in terms of older people is reflected in effective medical and social care measures and their employment in accordance with their abilities. These needs resulted in consolidation of three agencies into one big ministry – the Ministry of Labour, Health and Social Care. Thus, a person's health and social protection rights are directly connected with his right to work.

Nowadays, we very often, unfortunately, have to face facts when it is difficult to support an older person. It is true that older people have always been supported at the expense of an economically active population in all formations of a society but in terms of social relations 'the mass of older persons' is in no way a burden to be carried by society. Allocation of pensions for older people should not be regarded as charity or mercy from society but compensation for their work during their whole lives.

The following terms are unacceptable and do not reflect the truth: 'old age pension' or 'age and labour pension'. In accordance with recommendations of the World Health Organization, the age of the 'older old' starts at 75, whilst a person of pensionable age and with a record of work, in other words, a person with a labour pension, should be differentiated from a person with an old age pension (Professor L. Svimon Dalakishvili).

The ageing problem in Georgia is naturally linked with a very painful problem for Georgia – a reduction in the birth rate. To gradually and consistently resolve this problem, the government, the private sector, other

relevant institutions, NGOs and civil society should implement complex reforms in material and moral security, housing and employment sectors.

It is well-known that Georgia is on a list of rapidly ageing countries in terms of demographic data. A major part of the Georgian population that lives outside the country is its 'gold fund' in terms of their age and intellectual capacity. In the 1990s, older people were mostly affected by economic insecurity conditions. The financial income of 71% of them was 10 times less than a minimum subsistence level in the country. In addition, the pensionable age was increased to 65 for men and 60 for women. It should be mentioned that earlier, for unemployed persons, a pension was granted two years before a pensionable age but this was abolished and older people from intellectual professions found themselves in a very difficult situation.

In Georgia, society has always paid special attention to older people. Taking care of them has always been regarded as a high moral responsibility. The superiority of the older generation is clearly seen in laws written by Vakhtang the Brilliant, Bagrat Kurapatat and Vakhtang VI (Georgian kings).

Currently, there are a number of unresolved problems in our lives that are related to the physical, spiritual, economic, health and social care of older people as well as their co-living with their family members. In order to address these problems, we have examined the past life, personal and family status as well as work experience of older people living in our old people's home and prepared their biographical portraits. Among 91 beneficiaries of the Tbilisi Old People's Home (Director Darejan Tomadze) 48 are women. Most of them were born and grew up in villages. Fifty-six of 91 beneficiaries are 80-years-old or older. Two beneficiaries, who were medical doctors by profession, are 95-years-old. Out of nine beneficiaries who are 90-years-old or older, five are women. Other beneficiaries of our home used to work in education, science, culture and the health sector and live here because of housing problems. Among beneficiaries there are three who hold PhDs, three war and armed forces veterans, two honoured teachers, five distinguished teachers, one honoured engineer and railwayman, two honoured medical doctors, one honoured actor and three holders of very important state orders. Sixty-five per cent of beneficiaries have higher education.

## II. Life Lessons and Advice to New Generation

I met hundreds of people who experienced unemployment and economic hardships when I worked as a journalist in my younger days and later, in the 1980s and 1990s, when working in the employment and social sectors. I met many scientists, writers and those who worked in cultural spheres who played a big role in my professional and personal lives.

Based on the above experience, I would like to advise a new generation

- To follow national traditions in respect of elderly people;
- To observe principles of interrelation between generations and solidarity of generations in society;
- To pay more attention to education, the acquisition of new knowledge, professionalism and to be more responsible in your work;
- Not to migrate, which in most cases can have very negative results, such as the loss of a residential house, trafficking, legal insecurity, etc.
- To pay more attention to traditional family life; to have families based on love, respect, similar views, spirit, the same goals, respect of ancestors and the proper upbringing of children.
- To learn the history, fiction, culture, arts and folklore of your nation and pay respect to culture and traditions of other nations.



- To observe norms of the Georgian language and national dignity and to think about the benefit of the motherland and not only about personal development.

### **III. Suggestions in Terms of Ageing Policy in Georgia.**

- To take into account recommendations of gerontology and geriatrics councils in the development of the national social policy;
- To consider moral and physiological aspects in the well-being of older people in addition to medical, social and economic issues;
- To grant pensions based on a record of work;
- To base a social and economic development policy of the country on the existing intellectual capital, technical progress, natural resources, geopolitical location and traditions of the national development;
- To employ older people in relevant professions where they are willing and able to work;
- To provide a pension to housewives aged 50 and above if they have many children (3-4 and more);
- To regularly and constantly conduct social surveys to identify social problems;
- To equalize a pension amount to a subsistence minimum;
- To further develop a social insurance system in two directions: firstly, by the introduction of a state solidarity principle and secondly, by a system of private savings funds;
- To retain the pension of working pensioners taking into account the current amount of pension;

**Conclusion:** In parallel to modern political, social and economic processes, it is necessary to consider the UN General Assembly's appeal: 'The government should implement a policy aimed at social and economic security of older persons in line with its national interests.'

A Georgian man has been always wise, physically and morally strong, and unbreakable, as confirmed by the Georgian folklore:

I got old and dropped down a bow  
Arrow - red-headed,  
Be careful of shame,  
It not to twist your neck!

**Yes! A person should have dignity in their old age in a country where people feel safe!**